სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

6

მეექვსე კლასის მოსწავლის წიგნი

ავტორები
თეო ჯალაღანია,ჯიმშერ ჯოგავა,
ქრისტინე ჯოგავა

„საქართველოს მაცნე“

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მეექვსე კლასის მოსწავლის წიგნი

ავტორები
თეო ჯალაღანია,ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

მხატვრობა და დიზაინი
ქრისტინე ჯობავა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
ტელ: 232 09 78, 591 34 73 77
ელ-ფოსტა: sakmacne@gmail.com
მაღალაშვილის ქ. 5, 0178, თბილისი.

© თ. ჯალაღანია, ჯ.ჯობავა
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

გამოცემის წელი 2018

ISBN 978-9941-16-679-2

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I	
1. ხელოვნების ანბანი. ხაზი	8
2. გააკეთე მავთულის ქანდაკება	10
3. ფერი	12
4. ხაზები და ფერები	15
5. ფორმა და მოცულობა	16
6. მობილი	18
7. მოძრაობა	19
8. დახატე ფიგურა მოძრაობაში	21
9. წონასწორობა	22
10. ხელოვნების ჟანრები--- პორტრეტი	24
11. შეასრულე პორტრეტი აპლიკაციის ტექნიკით	26
12. პეიზაჟი	27
13. დახატე შემოდგომის პეიზაჟი	29
14. ნატურმორტი	30
15. დახატე ნატურმორტი	33
16. ანიმალისტური ჟანრი	34
თავი II	37
17. არჩიმბოლდო — ბუნების ნობათის მეხოტბე	39
18. ვძერწავთ არჩიმბოლდოს ნამუშევრების მიხედვით	41
19. ლენდ—არტი	45
20. ლენდ—არტის პროექტი	47
21. მშვიდობის იდეა პიკასოს შემოქმედებაში	49
22. მწვანე სახლი	51
23. ილუსტრაცია	53
24. საბავშვო წიგნი	55
25. ორნამენტი	57
26. შემაჯამებელი გაკვეთილი	59
თავი III	61
27. ქართული ტაძარი	62
28. დახატე ქართული ტაძარი	64
29. ქანდაკება	65
30. გამოძერწე ფიგურა მოძრაობაში	67
31. დადგა ახალი წელი	69
32. ინდური ახალი წელი — დივალი	70
33. დახატე რანგოლის ორნამენტი	72
34. აღმოსავლური ახალი წელი — ნავრუზი	74
35. დახატე აღმოსავლური ქალაქი	77

36. სამკაული 79
37. ჭედური ხელოვნება 81
38. მინანქარი 83
39. მინანქრის ორნამენტი 85
40. ნაბეჭდი გრაფიკა 87
41. ნაბეჭდი გრაფიკის ტექნიკები 90
42. კარიკატურა 93
43. იუმორისტული ნახატი 95
44. კომიქსი 97
45. ფიგურა მოძრაობაში 100
46. შარჟი 102
47. შემაჯამებელი გაკვეთილი
ლექსიკონი

თავი I

1. ხელოვნების ანბანი. ხაზი

ხელოვნების ყველა ნაწარმოები რაიმე ელემენტისგან შედგება: ლექსი — სიტყვებისაგან, მელოდია — ბგერებისაგან, კინოფილმი — კადრებისაგან. სახვით ხელოვნებასაც აქვს შემადგენელი ელემენტები, რომელთაგან მთავარია ხაზი, ფერი, ფორმა და მოცულობა. ეს ის ანბანია, რომლის მეშვეობითაც მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და დიზაინერი თავიანთ სათქმელს გადმოგვცემენ.

ხელოვნების ნაწარმოების ასაგებად მთავარია ნახატი, ე.ი. ხაზი. მას ნამუშევრის ჩონჩხს ადარებენ. თუ ნახატი სწორად არ არის შესრულებული, სურათი სრულყოფილი ვერ გამოვა.

შენ უკვე იცი, რომ ხაზები მრავალგვარია: ჰორიზონტალური, ვერტიკალური და დიაგონალური, სწორი და მრუდი, ტალღოვანი და ტეხილი, სპირალური და ზიგზაგური, სქელი და წვრილი და მრავალი სხვა. მათი მეშვეობით მხატვარს შეუძლია გადმოსცეს ნებისმიერი საგნის ფორმა და მოცულობა.

ვასილი კანდინსკი. „ოცდაათი“

? როგორ გგონია, რატომ შეურჩია მხატვარმა ამ სურათს ასეთი სახელი? რა არის მასზე გამოსახული — ნამდვილი, რეალური საგნები თუ მხოლოდ ხაზები და ლაქები? თუ გაგონებს რამეს ეს გამოსახულებები? კარგად დააკვირდი: როგორი ტიპის ხაზებია აქ გამოყენებული? დაიყავით ჯგუფებად და ჩამოთვალეთ ყველა სახის ხაზები, რომლებსაც იყენებს მხატვარი. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც უფრო დაკვირვებული აღმოჩნდება.

ხაზს განწყობის შექმნაც შეუძლია. დააკვირდი ამ ნამუშევრებს და სცადე განსაზღვრო, სად არის ხაზი ტალღოვანი და მშვიდი, სად — ტეხილი და მოუსვენარი, სად თითქოს მდორედ მიედინება, სად კი თითქოს დახტის და ა.შ



ვინსენტ ვან გოგი.
„ქუჩის კაფე ღამით“"

ანრი მატისი.
წიგნის ილუსტრაცია

კლასელებმა აირჩიეთ ერთნაირი რაოდენობის შავი და თეთრი ფურცლები და დახატეთ კანდინსკის მსგავსი გამოსახულებები სხვადასხვანაირი ხაზებით. შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი მასალა — ფლომასტერები, ფანქრები, პასტელები, ცარცები, მელანი და ა.შ. დასრულებული ნამუშევრები დაამაგრეთ სკოჩით მუყაოზე ერთმანეთის გვერდით და გამოფინეთ კლასში. ისაუბრეთ თქვენი და მეგობრების ნამუშევრების შესახებ.

დაიმახსოვრე!
ვასილი კანდინსკი —XXს. გერმანიაში მოღვაწე რუსი მხატვარი.
ვინსენტ ვან გოგი -საფრანგეთში მოღვაწე XIX-XX ს. ჰოლანდიელი მხატვარი
ანრი მატისი — XXს. ფრანგი მხატვარი

შენი აზრით
კიდევ რა გრძნობა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვაგვარმა ხაზებმა, მაგ., სწორმა, სპირალურმა, ზიგზაგურმა და სხვ.? ისაუბრეთ ამის შესახებ.

2. გააკეთე მავთულის ქანდაკება

ხაზს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გრაფიკასა და ფერწერაში, არამედ ქანდაკებასა და არქიტექტურაშიც. ამის პირველი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ არქიტექტორები და მოქანდაკეები ყოველთვის წინასწარ ნახაზებსა და ჩანახატებს ასრულებენ — ეს ერთი, და მეორეც: ყველა ქანდაკება და შენობაც ხომ ხაზებს შეიცავს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მეოცე საუკუნის ამერიკელი მოქანდაკის, **ალექსანდერ კალდერის** მიერ მიერ გამოგონებული დარგი — მავთულის ქანდაკება, რომელიც საერთოდ მხოლოდ ხაზებისაგან შედგება.



ალექსანდერ კალდერი ბავშვობიდან იყო გატაცებული ცირკით და ეს გატაცება ზრდასრულ ასაკშიც შეინარჩუნა. მას გაუჩნდა საინტერესო იდეა — შეექმნა პატარა ცირკი, არენით, ჯამბაზებით, აკრობატებით, ცხენოსნებით, რომლებსაც ძაფებისა და მავთულების მეშვეობით ამოძრავებდა. მან მართლაც აისრულა ოცნება და საკუთარი ხელით შექმნა მავთულის ფიგურების პატარა ცირკი. იმხანად ამ ცირკში მოწყობილი წარმოდგენებით კალდერი თავის მეგობრებსა და მათ შვილებს ახალისებდა, დღს კი იგი მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებში გამოიფინება.



დაათვალიერე ალექსანდერ კალდერის მიერ შექმნილი მავთულის ქანდაკებები. რას გამოსახავენ ისინი? როგორ არის ისინი გაკეთებული? შენი აზრით, რითი განსხვავდება ისინი ჩვეულებრივი, ტრადიციული ქანდაკების ნიმუშებისაგან? როგორ გგონია, რა უფრო აინტერესებდა ავტორს ამ შემთხვევაში — თვით ფორმა, მოცულობა, თუ მისი შემომსაზღვრელი ხაზი, ანუ კონტური? რატომ გგონია ასე? იგრძნობა თუ არა ამ ნამუშევრებში გასმომსახველობა, ემოცია, იუმორი?



სცადე, შენც გააკეთო ასეთი გამოსახულება. ამისათვის ჯერ მოიფიქრე, თუ რისი გამოსახვა გსურს. შემდეგ გააკეთე ჩანახატი უბრალო ფანქრით. ახლა უკვე
შეგიძლია, რომ ჩანახატის ხაზების მიხედვით მოღუნო მავთული სასურველი მოხაზულობის მისაღებად.

როდესაც მავთულის ფიგურა მზად იქნება, შეგიძლია დაამაგრო იგი სადგამზე ან ჩამოკიდო ბაწრით ან მავთულით.

მავთულის მზა ქანდაკებები გამოფინეთ კლასში და ისაუბრეთ მათ შესახებ, აღნიშნეთ, თუ რისი გამოსახვა გქონდათ ჩაიფიქრებული, რამდენად შეძელით მიზნის მიღწევა, ვისი ნამუშევარი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ.

დაიმახსოვრე!
ალექსანდერ კალდერი — XXსაუკუნის ამერიკელი ხელოვანი.

3. ფერი



მონდრიანი. „ბროდვეის ბუგი-ვუგი"

თუ ხაზს ნაწარმოების ჩონჩხს ადარებენ, მაშინ ფერი მისი სისხლი და ხორცია. შენ იცი, რომ არსებობსარსებობს **თბილი** — წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი და სხვ. და **ცივი** — ლურჯი, ცისფერი, მწვანე და სხვ. ფერები, აგრეთვე ძირითადი, ანუ პირველადი ფერები — წითელი, ყვითელი და ლურჯი, რომლებიც სხვა ფერების შეზავებით არ მიიღება. სამაგიეროდ, ყველა სხვა ფერი მიიღება ამ ფერების შერევით (და შავისა და თეთრის დამატებით).

სქემაზე წრეებში ჩახატულია ძირითადი ფერები, ხოლო სამკუთხედებში — მათგან მიღებული მეორადი, ანუ შედგენილი ფერები: მწვანე, ნარინჯისფერი და იისფერი. ფერთა სამყაროს მთელი სიმდიდრე სწორედ ამ ფერებს ემყარება. სხვათა შორის, იყო ერთი ცნობილი მხატვარი, რომელიც თავის ნამუშევრებში უმეტესად ძირითად ფერებს იყენებდა — ეს იყო XX ს-ის ჰოლანდიელი მხატვარი პიტ მონდრიანი. თავდაპირველად იგი ჩვეულებრივ **რეალისტურ** სურათებს ხატავდა — ე.ი. ხატავდა ისე, როგორც ხედავდა. მაგრამ ნელ-ნელა მისი სტილი უსაგნო, ანუ **აბსტრაქტული** გახდა.

გაინტერესებს, რატომ შექმნა მონდრიანმა ასეთი სტილი? რაც უფრო მეტად აკვირდებოდა იგი ხეებს, სახლებს და ა.შ., მით უფრო ნათლად ხედავდა, რომ ყველა საგანს ბევრი რამ აქვს საერთო და სულ უფრო მეტად აღიქვამდა მათში ძირითად ფერებს და გეომეტრიულ ფორმებს. ამას შენც დაინახავ, თუ ასეთ ცდას ჩაატარებ: მოჭუტე თვალები, როცა რამეს უყურებ. დაფიქრდი — ისევ მკაფიოდ ხედავ საგნებს, თუ მათი კონტურები ნელ-ნელა ქრება; კარგად არჩევ დეტალებს, თუ უფრო ფერებისა და ფორმების ლაქებს ხედავ, რეალურ საგანს კი — ვერა? სწორედ ამას აკეთებდა მონდრიანი.

გვერდით მოყვანილია პიტ მონდრიანის ნამუშევრები. ეს სამივე სურათი მონდრიანს ეკუთვნის და სამივეზე ხეებია გამოსახული, მაგრამ მონდრიანმა ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სტილით დახატა. დააკვირდი, რომელი მათგანია შესრულებული საკმაოდ რეალისტურად, რომელი — უფრო პირობითად, მაგრამ ისე, რომ მასზე ჯერ კიდევ შეიძლება ხის ამოცნობა და რომელი მათგანია უკვე სავსებით აბსტრაქტული, ანუ უსაგნო? იმსჯელეთ იმაზე, თუ ნელ-ნელა როგორ იცვლება მხატვრის შესრულების მანერა .



შენს წინაშეა ჰოლანდიელი მხატვრის, პიტ მონდრიანის სამი ნამუშევარი, როლებიც სხვადასხვა პერიოდშია შესრულებული. შენი აზრით, რითი განსხვავდება მათი შესრულების მანერა? რომელი მათგანია უფრო რეალისტური, რომელი — უფრო პირობითი და რომელი — სრულიად უსაგნო, ანუ აბსტრაქტული? რა შეგიძლია თქვა ამ მხატვრის შემოქმედებითი მანერის ცვლილებაზე? ისაუბრეთ ამის შესახებ კლასში.

სცადე, შენც დახატო ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა სტილით. მაგალითად, დახატე ხე, სახლი ან ადამიანი ჯერ რაც შეგიძლია ზუსტად, რეალისტურად, შემდეგ კი პირობითი ან აბსტრაქტული სახით: გეომეტრიული ფორმებით, ლაქებით, ხაზებით და ა.შ. დახატე რამდენიმე გრაფიკული ესკიზი შავი ფანქრით.

დაათვალიერეთ ერთმანეთის ესკიზები. ისაუბრეთ იმაზე, თუ რომელ ნახატში გამოვლინ და ყველაზე მეტად ავტორის წარმოსახვა და ფანტაზია.

მიაქციე ყურადრება იმას, რომ მონდრიანის აბსტრაქტულ ნამუშევრებზე უბრალოდ ფორმებია გამოსახული, არავითარ ამბავს — არც მხიარულს, არც სევდიანს ისინი არ მოგვითხრობენ. თვით ეს ფორმებიც არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით: იგი ხომ მხოლოდ მართკუთხედებს ხატავდა. ერთმანეთისაგან ისინი ძირითადად ფერით განსხვავდება. მაგრამ განა ამის გამო მონდრიანის ნამუშევრები ერთფეროვანი და უინტერესო გახდა? თუ ისინი მაინც თავისებურია და განსხვავებულ გრძნობებს და შთაბეჭდილებებს წარმოშობს?



მონდრიანი. „კომპოზიცია „ა"



მონდრიანი. „კომპოზიცია"

დააკვირდი მონდრიანის ამ ნახატებს. ერთზე ვხედავთ კაშკაშა წითლის, ყვითლის და ლურჯის ლაქებს თეთრ ფონზე, მეორის ფერები კი ჩამქრალი და თავშეკავებულია. როგორ გგონია, ორივე ერთნაირ გრძნობას იწვევს? თუ არა, მაშინ რომელია მხიარული და ხალისიანი და რომელი — უფრო მკაცრი? ისაუბრეთ იმაზე, შეუძლია თუ არა ფერს განწყობა შეუქმნას მაყურებელს.

შენი აზრით

მოქმედებს თუ არა ადამიანის განწყობაზე იმ ოთახის ფერები, სადაც ის იმყოფება? მაგალითად, როგორი განწყობა გექნება წითელკედლებიან ოთახში და როგორი — ცისფრად შეღებილ ოთახში? როგორ გგონია, შეიძლება ამის გამოყენება? რანაირად?ისაუბრეთ ამის შესახებ კლასში.

გაიხსენე!

ძირითადი, ანუ პირველადი ფერები — წითელი, ყვითელი და ლურჯი.

მეორადი, ანუ შედგენილი ფერები: — მწვანე, ნარინჯისფერი და იისფერი.

დაიმახსოვრე!

რეალისტური ხელოვნება — ნაწარმოებები, რომლებიც ასახავს სამყაროს ბუნებრივად, სინამდვილის შესაბამისად.

აბსტრაქტული ხელოვნება — უსაგნო ხელოვნება, სადაც არ გამოისახება კონკრეტული ობიექტები (მაგ., ადამიანი, ხეები და ა.შ.).

4. ხაზები და ფერები



ნამუშევრის შესასრულებლად შენ დაგჭირდება სახაზავი, გრაფიტის ფანქარი, შავი ფლომასტერი და ფერადი ფანქრები ან სხვა მასალა.



უბრალო შავი ფანქრით დახატე ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები.



შავი ფლომასტერით ან გუაშით გაამუქე ხაზები. ზოგი - წვრილად, ზოგი - სქლად.



შეაფერადე ზოგიერთი მართკუთხედი ძირითადი ფერებით.

5. ფორმა და მოცულობა





დააკვირდი ხელოვნების რომელიმე ნაწარმოებს (ნახატს, ქანდაკებას, შენობას და ა.შ.). გარდა ხაზისა და ფერისა, რა არის საჭირო მათ შესაქმნელად? აუცილებელია **ფორმები და მოცულობები,** რომლებიც შენ მათემატიკიდან იცი: ორგანზომილებიანი (ე.ი. ბრტყელი) გეომეტრიული ფორმებია წრე, ოვალი, კვადრატი, მართკუთხედი, სამკუთხედი და სხვ. სამგანზომილებიანი (ანუ მოცულობრივი) ფორმებია სფერო, კუბი, პირამიდა და ა.შ. ბუნებაში არსებობს აგრეთვე უსწორმასწორო (არაგეომეტრიული) ფიგურებიც, მათ **„ორგანული"** ეწოდება.

პაბლო პიკასო. „სამი მუსიკოსი“"

საინტერესოა, რომ ნებისმიერი ორგანული ფორმა — ადამიანის სახე, ხე, მთა — შეიძლება ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს იგი გეომეტრიული ფიგურებისგან იყოს შედგენილი. მიმოიხედე გარშემო ან გაიხედე ფანჯარაში. დააკვირდი სხვადასხვა საგანს და აღნიშნე, რომელ ფორმებს გაგონებს ისინი. შეგიძლია გააკეთო მათი ჩანახატები გეომეტრიული ფორმების სახით.

სხვათა შორის, მხატვრები ხშირად ასრულებენ ამგვარ სავარჯიშოებს. მეტიც, არსებობს მთელი მხატვრული მიმდინარეობა XX საუკუნეში, **კუბიზმი,** რომელიც მიზნად ისახავდა სამყაროს ასახვას გეომეტრიულ ფორმებში. ამ სტილით მუშაობდნენ ცნობილი მხატვრები, მაგ., **პაბლო პიკასო** და ბევრი სხვა.

ფორმების სილამაზით გატაცებამ სახვითი ხელოვნების ახალ დარგსაც

კი ჩაუყარა საფუძველი. შენთვის უკვე ცნობილმა ამერიკელმა ხელოვანმა **ალექსანდერ კალდერმა,** რომელიც თავდაპირველად რეალისტური სტილით მუშაობდა — ხატავდა და აქანდაკებდა, გამოიგონა მოძრავი, ანუ **კინეტიკური ქანდაკება:** ფერადი ფორმები, რომლებიც ჰაერში მოძრაობენ. ეს ფორმები წვრილ ღეროებზეა ჩამოკიდებული და ერთმანეთს აწონასწორებს. კალდერმა ასეთ ნამუშევრებს **„მობილები"** უწოდა. დღეს მობილები საკმაოდ გავრცელებული და პოპულარულია.

ალექსანდერ კალდერი. მობილი



ალექსანდერ კალდერი. „თევზი""

შენი აზრით

არსებობს თუ არა ბუნებაში, ცხოველთა ან მცენარეთა სამყაროში სწორი გეომერტიული ფორმის მქონე საგნები და არსებები? თუ არსებობს, დაასახელე ისინი.

დაიმახსოვრე!

ორგანული ფორმები — უსწორმასწორო, თავისუფალი (არაგეომეტრიული) ფორმები.

მობილი, ანუ კინეტიკური ქანდაკება — ჩამოკიდებული და გაწონასწორებული მოძრავი ფორმებისაგან შემდგარი კოსტრუქცია.

კუბიზმი — მიმართულება XXს-ის ხელოვნებაში.

პაბლო პიკასო — XXს-ის საფრანგეთში მოღვაწე ესპანელი მხატვარი.

6. შექმენი მობილი





თხელ მუყაოზე ფანქრით ან ფლომასტერით დახატე გეომეტრიული ფიგურები — წრე, სამკუთხედი, კვადრატი, ოვალი და მართკუთხედი.

შეაფერადე ისინი ორივე მხრიდან ძირითადი, მეორადი, შავი და თეთრი ფერებით.



გამოჭერი ფიგურები, გაუკეთე ნახვრეტები და მოაბი ძაფები.

ჩამოკიდე და გააწონასწორე ფიგურები ღერძზე.

მომავალში ამ ნიმუშის დახმარებით შეგიძლია მოიგონო და გააკეთო მობილი ნებისმიერ თემაზე, მაგ., ,,ციური სხეულები“", ,,ხილი და ბოსტნეული“", ,,სათამაშოები“" ან სხვა.

7. მოძრაობა ხელოვნებაში

მირონი. „ბადროს მტყორცნელი". ძვ.წ. Vს.

შენ უკვე იცნობ მობილებს, რომელთათვის აუცილებელი პირობაა მოძრაობა და წონასწორობა. ახლა კი სცადე გაიხსენო, თუ არსებობს სახვით ხელოვნებაში რომელიმე სხვა სახის მოძრავი ნაწარმოები? რასაკვირველია, არა, რადგანაც სურათი კედელზე, ქანდაკება მოედანზე ან შენობა ქუჩაში თავის ადგილზე უნდა იყოს გაჩერებული. და მაინც, მიუხედავად ამისა, **მოძრაობა, ანუ დინამიკა,** ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია — უბრალოდ, აქ იგულისხმება ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული მოძრაობა. მაგალითად, ბერძენმა მოქანდაკემ, **მირონმა,** თავისი „ბადროს მტყორცნელი" სწორედ დაძაბული მოძრაობის მომენტში გამოსახა.

ფიდიასი. „დიდი პანათენის ზეიმი"

სკოპასი. „ბერძნების ბრძოლა ამაზონებთან"

დააკვირდი ამ სურათებს. მათზე გამოსახულია ძველ საბერძნეთში შექმნილი ორი ქანდაკება. როგორ გგონია, რომელ მათგანში იგრძნობა მოძრაობა? რატომ გგონია ასე? დაასაბუთე შენი აზრი. როგორ ფიქრობ, რატომ გვიჩნდება მოძრაობის შთაბეჭდილება? განსაკუთრებით მიაქციე ყურადღება ქანდაკებათა პოზებსა და სამოსს.

მოძრაობა ფერწერაშიც გამოიხატება — მაგალითად, თუ სურათზე ადამიანი მირბის ან ცხოველი ნახტომშია გამოსახული, ან ხის ტოტები ქარისგანაა დაზნექილი — ასეთ დროს მაყურებელს მოძრაობის შეგრძნება უჩნდება.



დააკვირდი ამ გამოსახულებას. პირველყოფილმა მხატვარმა იგი ჯერ კიდევ 7-10 ათასი წლის წინათ შექმნა. როგორ გგონია, რა არის აქ გამოსახული? შეძლო თუ არა მხატვარმა ადამიანისა და ცხოველის მოძრაობების გადმოცემა? შენი აზროთ, რატომ ხატია მონადირე ზევით, ირემი კი ქვევით? ვთქვათ, ეს ფიგურები კომპიუტერის საშუალებით რომ გადავაადგილოთ, როგორც ეს ქვემოთაა მოცემული, და ერთმანეთის მიყოლებით, სწორხაზოვნად ჩამოვამწკრივოთ, მაშინ მოძრაობის შეგრძნება გაძლიერდება, თუ პირიქით?

ესპანეთი, ვალტორტას გამოქვაბული. ძვ. წ. 8-5 ათასწლეული.

შენი აზრით

შენს მიერ ნანახ რომელ ნაწარმოებში (ქანდაკება, ფერწერული ნამუშევარი, წიგნის ილუსტრაცია, პლაკატი, ფოტო და ა.შ.) იყო ყველაზე ძლიერად გამოსახული მოძრაობა? რა ხერხებით იყო მიღწეული ეს შთაბეჭდილება?

დაიმახსოვრე!

მოძრაობა, ანუ დინამიკა — სახვით ხელოვნებაში: სხვადასხვა ხერხის მეშვეობით მოძრაობის შთაბეჭდი=ლების გადმოცემა ნაწარმოებში.

მირონი — V ს-ის ბერძენი მოქანდაკე

თავი II

17. არჩიმბოლდო — ბუნების ნობათის მეხოტბე

ჯუზეპე არჩიმბოლდო. „ბოსტნეულის მებაღე“

შენ იცი, რომ ბუნება და მისი ნობათი ოდითგანვე აისახებოდა პეიზაჟებსა და ნატურმორტებზე, ამაში ორიგინალური და განსაკუთრებული არაფერია. მაგრამ არის ერთი მხატვარი, რომლის ნატურმორტების მსგავსი სრულიად არავის არ შეუქმნია — XVIს-ის იტალიელი ფერმწერი **ჯუზეპე არჩიმბოლდო**. მაინც რით გამოირჩევა იგი სხვებისაგან ასე ძალიან? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, შეხედე აქ მოცემულ მის ნატურმორტს, შემდეგ კი ამოატრიალე წიგნი. მიხვდი, რატომ ეწოდება სურათს „ბოსტნეულის მებაღე“?

თავის დროზე ჯუზეპე არჩიმბოლდო დაფასებული და ცნობილი ადამიანი იყო. ეპისკოპოსის შვილიშვილი და მხატვრის შვილი, იგი ჰაბსბურგთა წმინდა რომის იმპერიის იმპერატორის, მაქსიმილიანე II-ის კარის მხატვარი იყო. გარდა ამისა, მის გამგებლობაში იყო არქიტექტურა, ინჟენერია, ზეიმებისა და ცერემონიების ორგანიზება და მხატვრული გაფორმება და სხვ. მისი ნიჭის, ერუდიციისა და გონებამახვილობის გამო არჩიმბოლდოს ყველა დიდ პატივს სცემდა. მას შესრულებული ჰქონდა ვიტრაჟები, ფრესკები, მრავალი დაზგური სურათი. მაგრამ ისტორიას არჩიმბოლდოს სახელი მის მიერ გამოგონებული ჟანრთან — „ბოტანიკურ პორტრეტებთან“ დაკავშირებით შემორჩა.

დაიმახსოვრე!
ჯუზეპე არჩიმბოლდო — XVIს-ის იტალიელი მხატვარი.

„გაზაფხული“

„იმპერატორი მაქსიმილიანე“

„შემოდგომა“

18. ვძერწავთ არჩიმბოლდოს სტილით

1. დაათვალიერე ჯუზეპე არჩიმბოლდოს ნამუშევრები და შთაგონების წყაროდ გამოიყენე ისინი.
2. მოიფიქრე „ბოტანიკური არსების“ შენეული ვარიანტი.
3. გააკეთე მისი ჩანახატი.
4. გამოძერწე იგი თიხის ან პლასტილინისაგან.
5. შეგიძლია გამოიყენო აქ მოცემული მაგალითიც, მაგრამ უმჯობესია, საკუთარი ფანტაზიით შექმნა იგი.

სურ. 1

სურ. 2

სურ. 4

სურ. 3

სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9

19. ლენდ-არტი

„მაიმუნი” ნასკას უდაბნო

პერუში, ნასკას უდაბნოში, მეცნიერები დიდხანს სწავლობდნენ ინკების ტომის უძველეს, იდუმალებით მოცულ არხების უზარმაზარ ქსელს. არავინ იცოდა მისი დანიშნულება, ისიც გაუგებარი იყო, თუ როგორ შეძლეს მისი აგება ძველმა ინდიელებმა. მაგრამ ნამდვილი სენსაცია მაშინ მოხდა, როდესაც გერმანელმა მეცნიერმა მარია რაიხემ შემთხვევით გადმოიხედა თვითმფრინავიდან და დაინახა, რომ თურმე ეს არხები კი არა, ხაზებია, რომლებიც უშველებელ ნახატებს ქმნის. ეს ასეთი მასშტაბის ჩვენთვის ცნობილი პირველი ნაწარმოებებია. დღეს მათ **„გეოგლიფებს“** უწოდებენ. მაგრამ ამის მსგავს ნამუშევრებს ქმნიან თანამედროვე ხელოვანები, რომლებიც ახალი ეკოლოგიური დარგის, **ლენდ-არტის** (ანუ „მიწის ხელოვნების“) წარმომადგენლები არიან.

როგორ გგონია, რა მსგავსება-განსხვავებაა ძველ გეოგლიფებსა და თანამედროვე ლენდ-არტის ნაწარმოებებს შორის? იმსჯელეთ ამის შესახებ.

„მიწის კაცი“

ლენდ-არტის ნაწარმოებებში ბუნება ფონი აღარ არის, აქ შემოქმედი თვით გარემოს გარდაქმნის ხელოვნების ნაწარმოებად. XXს-ის 60-იანი წლებიდან მხატვრები უდაბნოებში, მთებში, ამომშრალი ტბების ფსკერზე და სხვა მიუდგომელ ადგილებში სრულიად ცვლიდნენ ლანდშაფტს — თხრიდნენ ღრმულებს, აგებდნენ მიწაყრილებს, აშენებდნენ ლოდების ან მორების კონსტრუქციებს და ა.შ. ზოგიერთი მათგანი დროებითი და ეფემერული იყო, ზოგი კი — მუდმივი და მონუმენტური. ამითი ხელოვანები ცდილობდნენ ეჩვენებინათ ადამიანისა და ბუნების ერთიანობა, გამოეთქვათ პროტესტი თანამედროვე ქალაქური ცივილიზაციის წინააღმდეგ, რომელიც მათ ხელოვნურად, აგრესიულად, ბუნების დამანგრევლად მიაჩნდათ.

ავსტრალიელი მოქანდაკის, **ენდრიუ როჯერსის** არტ-პროექტი „სიცოცხლის რიტმები“, რომელიც უამრავ ქვეყანაში შექმნილ გეოგლიფებს მოიცავს, დღეს ყველაზე მასშტაბურია მთელ მსოფლიოში. ეს ქანდაკებები სიცოცხლის მარადიულობის და განახლების სიმბოლოა

ე.როჯერსი „ფრინველი“

მსოფლიოში ასეთი ტიპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ამერიკელი მოქანდაკის **რობერტ სმითსონის** „სპირალური კაშხალი“ გრეით სოლთ ლეიკის ტბაზე. ნასკას „ნახატების“ მსგავსად, მისი ფორმის სრული აღქმაც მხოლოდ თვითმფრინავიდან შეიძლება.

რ.სმითსონი. „სპირალური კაშხალი“

ნენსი ჰოლტი. „ზემოთ და ქვემოთ“

ჟან პოლ ბურდიე. „გზა”

დაათვალიერე ლენდ-არტის ნამუშევრები. შემდეგ დაიყავით ჯგუფებად და მოიფიქრეთ ლენდ-არტის პროექტები, მაგ., ისეთი ტიპის, როგორიცაა ე.როჯერსის „სიცოცხლის რიტმები“, რომელიც ქვებისაგან ცოცხალ არსებათა გამოსახვას ითვალისწინებს. გამოთქვით თქვენი იდეები, გააკეთეთ აღწერილობები და ჩანახატები. გააცანით ისინი ერთმანეთს და აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე მათგანი შესაფერის ადგილზე განსახორციელებლად.

არანაკლებ მასშტაბურ და შთამბეჭდავ ნამუშევრებს ქმნის ლენდ არტის კიდევ ერთი ცნობილი წარმომადგენელი, მოქანდაკე **ჯეიმს თერელი**. მისი უკანასკნელი ჩანაფიქრია ჩამქრალი როდენის ვულკანის კრატერში ასტრონომიული ობსერვატორიის მოწყობა. აქ შერწყმულია ბუნება, ხელოვნება და მეცნიერება, რათა შექმნილმა ნაწარმოებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინოს მნახველის გრძნობებზე, წარმოსახვასა და გონებაზე.



ჯ.თერელი. „როდენის კრატერი“.

მასშტაბურობა, მონუმენტურობა და ფანტაზია ახასიათებს აგრეთვე ამერიკელი მოქანდაკის **უოლტერ დე მარიას** ნამუშევრებსაც. ყველაზე პოპულარულია მისი ქმნილება „მეხის ველი“. უდაბურ ველზე 400 წვრილი 7-მეტრიანი ლითონის ღერო მიწაში ისეა ჩარჭობილი, რომ გარკვეული მანძილიდან ჩანს არა თვით ღეროები, არამედ მათგან არეკლილი ნათება, რომელიც თითქოს თავისით ჩნდება. თვითმხილველები ყვებიან, რომ შორეული მთების ფონზე ეს ზებუნებრივი სანახაობა დედამიწის იდუმალი ენერგიის გამოსხივებას ჰგავს. ფანტასტიკური ეფექტი ჩნდება აქ ჭექა-ქუხილის დროს, რადგანაც ეს ადგილი განსაკუთრებული ძალით იზიდავს მეხს და მისი მრავალრიცხოვანი მოელვარე ზიგზაგები პირდაპირ ლითონის ღეროებს ხვდება.

უოლტერ დე მარია. „მეხის ველი“

„მეხის ველი“ დღისით

ახდენს თუ არა შენზე შთაბეჭდილებას ლენდ-არტის ნამუშევრები, მათი ჩანაფიქრი და შესრულება? რა შეგიძლია თქვა მათ ფორმებზე, ფერებზე, მასალებზე? შენი აზრით, აქვთ მათ რაიმე საერთო ხელოვნების ტრადიციულ დარგებთან? საერთოდ, მიგაჩნია თუ არა პირადად შენ ეს ხელოვნებად? არის თუ არა ყოველივე ამაში რაიმე აზრი, იდეა, გრძნობები, რომლის გამოსახატად ღირდა ამდენი დროის, სახსრებისა და ენერგიის დახარჯვა? ან იქნებ ეჭვი გაქვს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ უაზრო და ძვირადღირებული გართობაა? მიგაჩნია თუ არა, რომ ასეთი ქმნილებები ხელს უწყობს საზოგადოების ყურადღების მიქცევას ეკოლოგიისა და მისი პრობლემების მიმართ? რატომ გგონია ასე? იმსჯელეთ ამის შესახებ კლასში.

დაიმახსოვრე!
„გეოგლიფი“ — უზარმაზარი გამოსახულება მიწის ზედაპირზე.
ლენდ-არტი (მიწის ხელოვნება) — თანამედროვე ხელოვნების დარგი, რომლის მიმდევრები ხელნაკეთ პეიზაჟებს ქმნიან.
ენდრიუ როჯერსი, რობერტ სმითსონი, ჯეიმს თერელი, უოლტერ დე მარია, ნენსი ჰოლტი — ლენდ-არტის წარმომადგენლები.

შენი აზრით
რა მსგავსება-განსხვავებას ხედავ ლენდ-არტსა და ლანდშაფტურ (საბაღო) ხელოვნებას შორის? (გაიხსენე, რა ისწავლე შარშან ამ თემაზე).

ჯ.თერელი. „როდენის კრატერი“.

20. ლენდ-არტის პროექტები

კრისტო. „გარსშემორტყმული კუნძულები“.

ითვლება, რომ ყველაფრის მომსწრე თანამედროვე მაყურებლის რამით გაკვირვება შეუძლებელია. მაგრამ საფრანგეთში მოღვაწე ბულგარელმა მხატვარმა **კრისტომ** (მისი ნამდვილი სახელია ხრისტო იავაშევი) ეს მაინც მოახერხა. ისევე, როგორც ლენდ-არტის სხვა წარმომადგენლების ნამუშევრები, მისი ნაწარმოებებიც უზარმაზარია, მაგრამ მასალად იგი ლოდებსა და მიწას კი არ იყენებს, არამედ ნაირფერ ქსოვილს — მისი საშუალებით იგი „ფუთავს“ ბუნებრივ თუ ადამიანის ხელით შექმნილ სხვადასხვა ობიექტებს: ხიდებს, სასახლეებს, ხეებს, სანაპიროებს და მთელ კუნძულებსაც კი.

მაგრამ რისი თქმა უნდოდა მხატვარს ამით? თვით კრისტო წერს: „ქსოვილის გამოყენება გულისხმობს, რომ ნამუშევარი **ეფემერულია** და მას გაქრობა უწერია... ამ ნამუშევრებს ვერავინ ვერ იყიდის, ისინი ვერავისი საკუთრება ვერ გახდება, მათგან ვერავინ ვერ იშოვის სარგებელს, მათ სანახავად საჭირო არაა ბილეთების ყიდვა. ისინი ჩვენ თვითონაც კი არ გვეკუთვნის“ („ჩვენ“-ში იგულისხმება თვით კრისტო და ჟანა-კლოდი, მისი მეუღლე და თანაავტორი). კრისტოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნება არ იქცეს ვაჭრობის საგნად, როგორც ეს ხშირად ხდება, იყოს თავისუფალი და საყოველთაო. სწორედ ამიტომ იგი ყოველთვის თავად აფინანსებს საკუთარ პროექტებს, რისთვისაც თანხებს მოსამზადებელი მასალების — ესკიზებისა და ჩანახატების გაყიდვით შოულობს. შესაძლოა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი ასეთი ლტოლვა მისი ბიოგრაფიითაც არის განპირობებული — ახალგაზრდობაში პარიზში სამუშაოდ რომ წასულიყო, კრისტოს სოციალისტური ბულგარეთიდან გაქცევა დასჭირდა.

კრისტოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია „გარშემორტყმული კუნძულები“. მის შესაქმნელად კრისტომ წყალში მოტივტივე მოელვარე ვარდისფერი ქსოვილი შემოავლო ბისკაის ყურის 11 პატარა კუნძულს, რომლებიც მანამდე ნაგავსაყრელებად გამოიყენებოდა. მისი შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი წერდა: „ძველი პეიზაჟი ცოტა ხნით ახალ, მშვენიერ რეალობად გადაიქცა. ეს ყველაფერი უჩვეულო, თავბრუდამხვევი ჰარმონიის შთაბეჭდილებას ქმნის. გაგონდება მონეს წყლის შროშანები“ (სხვათა შორის, ეს ნამუშევარი კრისტომ სწორედ მონეს უძღვნა) კრისტო საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ეს პროექტი ეკოლოგიურად სრულიად სუფთა და უსაფრთხოა.

არანაკლებ ცნობილია კრისტოს სხვა ნამუშევრებიც: „გახვეული ნაპირი. ავსტრალია“, „მორბენალი ღობე, კალიფორნია“, „გახვეული ხიდი, პარიზი“, „გახვეული რაიხსტაგი, ბერლინი“, „ქოლგები, იაპონია და აშშ“ და სხვ.



კრისტო. „შეფუთული ახალი ხიდი“, პარიზი.

კრისტო. „ქოლგები“, იაპონია.

კრისტო. „შეფუთული რაიხსტაგი“, ბერლინი.



კრისტო. „მორბენალი ღობე“, კალიფორნია.

კრისტო. „ქოლგები“, კალიფორნია.

დავალება

მთელმა კლასმა დაათვალიერეთ კრისტოს ნამუშევრები, გამოიყენეთ იგი შთაგონების წყაროდ და მოიფიქრეთ საკუთარი ნაწარმოები კრისტოს სტილში. შემდეგ შეასრულეთ მისი ესკიზები, ჩანახატები და ნაძერწი მოდელები. შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი სასურველი მასალა. ამის შემდეგ მოაწყვეთ ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა და შემოსული თანხით მოაწყვეთ საქველმოქმედო აქცია. საჭიროების შემთხვევაში აქციის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში შეგიძლიათ უფროსებიც ჩართოთ, მაგრამ ძირითადი სამუშაო აუცილებლად თავად შეასრულეთ. .

დაიმახსოვრე!

კრისტო (ხრისტო იავაშევი) — საფრანგეთში მოღვაწე თანამედროვე ბულგარელი მხატვარი და მოქანდაკე.

ეფემერული — წარმავალი, ხანმოკლე, არამყარი.

თავი III

27. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება

გელათის მონასტერი. მთავარი ტაძარი. XIIს.

შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო დარგი ხუროთმოძღვრებაა. შენ უკვე იცი ზოგი რამ ქართული სატაძრო არქიტექტურის შესახებ, მაგრამ მოდი უფრო გულდასმით დავაკვირდეთ, მაინც რას წარმოადგენდა ტიპური ქართული ტაძარი.

რასაკვირველია, ისე არ უნდა წარმოიდგინო, თითქოს უკლებლივ ყველა ჩვენი ტაძრის აგებულება ზუსტად ერთნაირი იყო. პირიქით, სწორედ ის, რომ სხვადასხვა ეპოქის და სხვადასხვა კუთხის არქიტექტურულ ძეგლებს განსხვავებული მხატვრული სახე ახასიათებს, ანიჭებს ქართულ არქიტექტურას მრავალფეროვნებას, უფრო მდიდარსა და საინტერესოს ხდის მას. გაიხსენე ის ტაძრები, რომლებიც უკვე ნანახი გაქვს: არც ერთი მათგანის გეგმა, ფორმები, დეკორატიული შემკულობა არ იმეორებს სხვას.

მაგრამ არის ისეთი ნიშნებიც, რომელიც აუცილებლად და ყოველთვის ახასიათებდა ქართულ ტაძარს და სწორედ მათ შესახებ, კერძოდ კი ჯვარგუმბათოვანი ტაძრების სტრუქტურაზე გვექნება დღეს საუბარი. ასე მას იმიტომ ეწოდება, რომ შენობის ფორმები სივრცეში ჯვარს ქმნის, თუმცა მიწის დონეზე შენობა უფრო ხშირად მართკუთხაა. ეს ჯვარისებური ფორმა განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ შენობას ზემოდან შეხედავ. მაგრამ ხანდახან შენობის მთელი ტანი ჯვაროვანი ფორმისაა — ტაძრის ასეთ ტიპს **„თავისუფალი ჯვარი“** ეწოდება.

ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას მაღალყელიანი გუმბათია აღმართული, რომელიც შენობაში მდგომ ოთხ სვეტს ან თვით კედლების შვერილებს ეყრდნობა. აღმოსავლეთის მხარეს აუცილებლად არის ნახევარწრიული ფორმის **აფსიდი**, სადაც საკურთხეველია განთავსებული. გარედან იგი ან გამიწეულია, ან არა — ასეთ შემთხვევაში ფასადზე იგი კედელში ჩაჭრილი **ნიშებითაა** გამოყოფილი. აფსიდის ორივე მხარეს ცალკე სათავსოებია — **სადიაკვნე** და **სამკვეთლო**. ეკლესიის კარიბჭე დასავლეთით და ხშირად სამხრეთითაც არის განლაგებული.

ქართული ეკლესიები უმეტესად ქვისაა და კირის ხსნარის გამოყენებით შენდება. კედლის ზედაპირი ლამაზი, გულდასმით დამუშავებული ფილებითაა მოპირკეთებული. იგი არასოდეს მთლიანად არ იფარება ჩუქურთმით, ამიტომ ქვის ფერსა და ფაქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს. ორნამენტი ძირითადად არქიტექტურულად მნიშვნელოვან ადგილებზე — სარკმლებისა და კარის გარშემო, გუმბათის ყელზე და აფსიდაზეა ამოკვეთილი, რითაც მათზე მაყურებლის ყურადღება ფიქსირდება. საერთოდ, ქართული ტაძრების შემკულობაც

და ფორმებიც ზომიერებაზე მეტყველებს: აქ არაფერია ზედმეტი, მაგრამ ვერც რაიმეს მოვაკლებთ. სწორედ ამიტომ ისინი ყოველთვის ერთიანობის, შეკრულობის, კრისტალისებური დასრულებულობის შთაბეჭდილებას სტოვებს.



სამწევრისი



სვეტიცხოველი

იკორთა

28. დახატე ქართული ტაძარი

აირჩიე რომელიმე ქართული ტაძარი და დახატე იგი ნებისმიერი შენთვის სასურველი მასალით. შეგიძლია გამოიყენო აქ მოცემული ნახატი, მაგრამ ეს აუცილებელი არ არის — იგი აქ ნიმუშის სახითაა მოყვანილი.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

დაიმახსოვრე!
ჯვრის მონასტერი (მცხეთა) — აგებულია 586-604წწ. სტეფანოზ ერისმთავრის მიერ.
სამთავისი — XIს-ის ქართული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, აგებულია ეპისკოპოს ილარიონ ყანჩაელის მიერ.
გელათის მონასტერი — დაარსებულია 1106წ. დავით აღმაშენებლის მიერ.
ახალი შუამთა — აგებულია XVIს კახეთის დედოფლის თინათინის თაოსნობით.
აფსიდი — ნახევარწრიული სათავსო, რომელშიც საკურთხეველია განლაგებული.

29. ქანდაკება

ბერძნული ლარნაკი და ეგვიპტური კოვზი

მრავალი ათასწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც პირველყოფილ ადამიანს გაუჩნდა სურვილი ქვისგან, ხისგან ან ძვლისგან გამოსახულება შეექმნა. წარმოიდგინე, როგორ იჯდა იგი გამოქვაბულში და ქვის ბასრი ნატეხით ადამიანის ან ცხოველის ფიგურას აქანდაკებდა. სხვათა შორის, პრიმიტიული იარაღებით დამზადებული ეს ნამუშევრები ხშირად ძალზე მაღალი ოსტატობით გამოირჩევა.

დააკვირდი პირველყოფილი ადამიანის მიერ შექმნილ ქანდაკებას. როგორ გგონია, აქვს მას მხატვრული ღირებულება? რატომ გგონია ასე? იმსჯელეთ იმაზე, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს, თქვენი აზრით, ხელოვნების ნაწარმოებს.

ბერძნული რელიეფი

ძველი ცივილიზაციების — ეგვიპტის, შუადინარეთის, საბერძნეთის და სხვა მოქანდაკეებს კი უკვე შეეძლოთ უზარმაზარი ქანდაკებების ქვისაგან ამოკვეთაც და ლითონისაგან ჩამოსხმაც.

მაგრამ ეგვიპტელებიც, ბერძნებიც, ჩინელებიც აქანდაკებდნენ არა მარტო დიდ და შთამბეჭდავ ქანდაკებებს, რომლებიც მეფის ან ღვთაების ძლევამოსილებას განასახიერებდა — მათ აგრეთვე უყვარდათ პატარა, კოხტა ქანდაკებების ამოკვეთა, რომლებიც მხოლოდ სილამაზისთვის ფასობდა (შენ უკვე იცი, რომ მათ სტატუეტები ეწოდება).

ხანდახან ოსტატები ქანდაკების ელემენტებით სხვადასხვა ნივთებს — ჭურჭელს, სახელურებს ან ავეჯს ამკობდნენ, მაგ. ეგვიპტური კოვზის ტარი ბრინჯაოს ფიგურაა, ქალღმერთის ბერძნული გამოსახულება კი სინამდვილეში დოქია. ასეთი ნივთები ნახევრად ქანდაკებაა, ნახევრად — დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და მათ ,,გამოყენებითი ქანდაკება" ეწოდება. არსებობს ქანდაკების ისეთი ნიმუშებიც, რომლებსაც ხელოვნების სხვა დარგთან — ფერწერასთან აქვთ საერთო : ეს არის კედლის სიბრტყეზე ან ქვის ფილაზე გამოსახული ქანდაკება, ანუ „რელიეფი". მრგვალი ქანდაკებისაგან განსხვავებით, მას გარს ვერ შემოუვლი და უკანა მხრიდან ვერ აღიქვამ, როგორც სურათს.

ისევე, როგორც ფერწერაში, ქანდაკებაშიც არის პორტრეტული ჟანრი. ხშირია ადამიანის მხრებამდე ან წელამდე გამოსახვა, რასაც „ბიუსტი" ეწოდება.

ქანდაკების სამყარო მართლაც მეტად მრავალფეროვანია: მაგ. თუ რელიეფს ლითონზე, ვთქვათ, ოქროს თასზე, ვერცხლის ან სპილენძის ფირფიტაზე გამოვსახავთ, იგი უკვე ოქრომჭედლობასთანაა და-კავშირებული და „ლითონმქანდაკებლობა" ეწოდება.

ეს ნამუშევრები ეკუთვნის XVIს-ის იტალიელ ხელოვანს ბენვენუტო ჩელინის. გამოთქვი შენი აზრი იმის შესახებ, თუ ქანდაკების რა ტიპებს მიეკუთვნება ისინი, რა მასალისგანაა შექმნილი, რა შთაბეჭდილებას ტოვებს და ა.შ. გაიხსენე, თუ გინახავს ამ ტიპის ქანდაკებები და ისაუბრე მათ შესახებ.

შენი აზრით

გაიხსენე, რომელი გამოჩენილი ადამიანის ქანდაკება გინახავს და იმსჯელეთ, თუ ვისი ძეგლის დადგმა შეიძლება თქვენს ქალაქსა თუ სოფელში. გაიხსენე ისტორიული პირები, მწერლები, ხელოვანები ან თუნდაც ლიტერატურული პერსონაჟები და აუცილებლად დაასაბუთე, რატომ გსურს მათი ძეგლის დადგმა.

დაიმახსოვრე!

მონუმენტური ქანდაკება — დიდი ქანდაკება, რომელიც მნიშვნელოვან იდეას გამოხატავს.

გამოყენებითი ქანდაკება — მცირე ზომის ქანდაკება, რომლითაც ნივთებს ამკობენ.

რელიეფი — სიბრტყეზე გამოსახული ქანდაკება.

30. გამოძერწე ფიგურა მოძრაობაში

დაათვალიერე XVIII-XIX სს-ის ეს ფრანგული და გერმანული სტატუეტები. მიაქციე ყურადღება, როგორი მოძრაობები და პოზები აქვთ მათ. სცადე, შენც მოიფიქრო და გამოძერწო თიხისაგან ან პლასტილინისაგან ქანდაკება, რომელსაც საინტერესო პოზა ან მოძრაობა ექნება, მაგ. მოცეკვავე, სპორტსმენი და სხვ. შეგიძლია ჯერ რამდენიმე მოსამზადებელი ჩანახატი გააკეთო, როგორც ამას მოქანდაკეები აკეთებენ.

31. დადგა ახალი წელი

თომას კინკეიდი. შობის საღამო

შობა და ახალი წელი წლის ყვლაზე მხიარული დღესასწაულია. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლის ბევრი ხელოვანი. გაიხსენეთ ჩარლზ დიკენსის მოთხრობა სკრუჯსა და მარლიზე, ჩაიკოვსკის ბალეტი „მაკნატუნა“ ჰოფმანის ზღაპრის მიხედვით, საახალწლო სიმღერები, ნაძვის ხე, საჩუქრები. წელიწადის ამ დროს ყველა ხარობს და მხიარულობს. ძალიან სასიამოვნოა აგრეთვე საკუთარი ხელით დამზადებული სამშვენისებით ნაძვის ხისა და სახლის მორთვა. დაათვალიერე ამ გაკვეთილში მოყვანილი მაგალითები და სცადე, შენც გააკეთო ლამაზი საახალწლო სათამაშოები, სამკაულები და საჩუქრები.

ასე გამოიყურება ტრადიციული მაკნატუნა, კაკლის სატეხი თოჯინა, რომლის ბრძოლის შესახებ თაგვების ბოროტ ხელმწიფესთან მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საშობაო ბალეტი დაიწერა

არტურ რეკჰემი. „საშობაო ალილო“

თუ გაქვს წაკითხული საშობაო ისტორია სკრუჯის და მარლის შესახებ? თუ არა, აუცილებლად გაეცანი ამ საინტერესო ამბავს.

საახალწლო სამშვენისი

ჭრელი ქაღალდისგან ამოჭერი წრე

ამოატრიალე იგი და დაყავი რვად

ჩაჭერი გახაზული ადგ-ილები წყვეტილ წრემდე, ბოლოები მოღუნე და მიაწებე

მიიღებ ასეთ ფორმას

ამოატრიალე ფორმა ჭრელი მხარით ზემოთ.

გააკეთე რამოდენიმე ასეთი ფორმა და მიაწებე ისინი ერთმანეთს

საბოლოოდ შენ მიიღებ ასეთი ფორმის სათამაშოს

32. ინდური ახალი წელი — „დივალი"”

ინდოეთი დიდი და ძალზე მრავალფეროვანი ქვეყანაა. აქ სხვადასხვა ტომის და სარწმუნოების ადამიანები ცხოვრობენ, და ცხადია, რომ მათი კულტურული მემკვიდრეობაც განსხვავდება.

თაჯ-მაჰალი

პატადაკალი



დააკვირდი ამ სურათებს. ერთზე გამოსახულია მაჰმადიანური პერიოდის ინდური მავზოლეუმი თაჯ-მაჰალი, ხოლო მეორეზე — ინდუისტური სარწმუნოების ტაძრები პატადაქალში. შენი აზრით, რომელშია გამოყენებული უფრო მკაცრი, გეომეტრიზებული ფორმები, და რომელში — უფრო თავისუფალი, ორგანული ფორმები? როგორია ამ ტაძრების შემკულობა? როგორია ფერი? როგორ განწყობას გიქმნის თაჯ-მაჰალის იერსახე და როგორს — პატადაქალის?

ძალზე განსხვავდება სხვადასხვა პერიოდის ინდური ქანდაკებაც. მაგ. მოცეკვავე ღმერთ შივას ქანდაკება სულ არ ჰგავს მჯდომარე ბუდას გამოსახულებას.

განსხვავდება აგრეთვე ზოგიერთი ადათ-წესი და ტრადიციაიც. მაგრამ არის საერთო მომენტებიც, მაგ. სექტემბრის ბოლოს მთელ ინდოეთში აღნიშნავენ ინდურ ახალ წელს — „დივალის", რაც „სინათლის სხივებს" ნიშნავს.

ლაკშმი

ინდოელები თვლიან, რომ ეს არის ნათლის ბნელზე გამარჯვების დღესასწაული. ისინი ანთებენ უამრავ ლამპარს, რომ გზა გაუნათონ კეთილდღეობის ქალღმერთ ლაკშმის, რომელიც ახალი წლის ღამეს ყველა ოჯახის დასალოცად მიდის. შესასვლელში კაშკაშა საახალწლო ორნამენტებს — „რანგოლის" ხატავენ, კედლებზე ჰკიდებენ საახალწლო სურათებს ქალღმერთ ლაკშმის და სიბრძნის ღმერთის — სპილოსთავიანი განეშას გამოსახულებით, რადგანაც ინდოელებს მიაჩნიათ, რომ სინათლე იგივეა, რაც სწავლა და სიბრძნე.

ათენა

ტოტი

განეშა

აქ გამოსახულია ეგვიპტელთა სიბრძნის ღმერთი ტოტი, ბერძენთა სიბრძნის (და ომის) ქალღმერთი ათენა და ინდოელთა სიბრძნის ღმერთი განეშა. აღნიშნე მსგავსება-განსხვავებანი: ა) ინდური და ეგვიპტური ღვთაებების გარეგნობასა და მათი გამოსახვის სტილს შორის, ბ) ინდურ და ბერძნულ ღვთაებებს შორის.

რანგოლის ორნამენტების ხატვა

დივალის დღესასწაული უკავშირდება უძველეს ლეგენდას მამაც და ბრძენ გმირზე — მეფე რამაზე, რომლის თავგადასავლები აღწერილია ორიათასზე მეტი წლის წინ შექმნილ პოემაში ,,რამაიანა". ლეგენდის მიხედვით, ერთხელ, როდესაც რამა შინ არ იყო, კუნძულ შრი-ლანკას ათთავიანმა და ათხელიანმა მბრძანებელმა, ბოროტმა რავანამ გაიტაცა მისი მშვენიერი მეუღლე სიტა. მაგრამ რამას დაეხმარა მეგობარი, მაიმუნების მეფე: მისმა ქვეშევრდომმა მაიმუნებმა ინდოეთის ნაპირიდან კუნძულ შრი-ლანკამდე ააგეს ხიდი, რომლითაც რამა და მისი მეგობრები იქ შეიჭრნენ და სასტიკად დაამარცხეს მტრები. როდესაც რამა და სიტა ბრუნდებოდნენ, უმთვარო, ბნელი ღამე ყოფილა და მათ რომ გზა არ აბნეოდათ, ქვეყნის მცხოვრებლებმა უამრავი ლამპარი აანთეს. ამბობენ, რომ სწორედ ამ ამბის ყოველ წლისთავზე იმართება დივალის — სინათლის სხივების ზეიმი.

მჯდომარე ბუდა

დაიმახსოვრე!
დივალი (სინათლის სხივები“) — ინდური ახალი წელი.
რანგოლი — ინდური საახალწლო ორნამენტები.
„რამაიანა" — ძველინდური პოემა.
თაჯ-მაჰალი — XVII ს-ს არქიტექტურული ძეგლი, დედოფლის მავზოლეუმი.

შენი აზრით
შესაძლებელია თუ არა, რომ სხვადასხვა ხალხს ზოგიერთი მსგავსი ტრადიცია ან მითოლოგიური ამბები აღმოაჩნდეთ? თუ მიგაჩნია, რომ შეიძლება, სცადე დაასაბუთო შენი აზრი.